ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების
რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for
vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია და რიკების შეფასება პენიტენციურ სისტემაში

სამაგიდე კვლევა

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების
რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for
vulnerable groups

PENAL REFORM INTERNATIONAL

მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია და რიკების შეფასება პენიტენციურ სისტემაში

სამაგიდე კვლევა

წინამდებარე სამაგიდო კვლევა მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორი: ბაქარ მეტრეველი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის – „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.

The publication has been produced by Rehabilitation Initiative of Vulnerable Groups (Author: Bakar Metreveli) within the framework of the EU funded project “Monitoring Government’s Commitments and Promoting Penal Reforms through the Engagement of CSOs” which is implemented by Penal Reform International South Caucasus Regional Office. The contents of this document is the sole responsibility of the Author and can in no circumstances be regarded as reflecting the position of either the donor or Penal Reform International, or its partner organisations.

2018 წელი

სარჩევი

შესავალი 5

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.....5

საერთაშორისო სტანდარტები.....6

ადგილობრივი კანონმდებლობა.....8

კვლევების/ანგარიშების მეორადი ანალიზი.....13

საჯარო სტატისტიკური ინფორმაცია.....19

შესავალი

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს გააკეთოს მოთხოვნა ან/და საჩივარი პენიტენციური დაწესებულების მიმართ თავისი უფლებების დასაცავად, მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად, მოითხოვოს ადმინისტრაციისგან რაიმე ქმედების განხორციელება ან ქმედებისგან თავის შეკავება. აღნიშნული უფლება თავისი განხორციელების გარანტიებით ფაქტობრივად აყვანილია თავისუფლების რანგში და წარმოადგენს ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც გარკვეულწილად აბალანსებს თავისუფლების აღკვეთით/შეზღუდვით გამოწვეულ წნეხს. პატიმრის უფლება მოითხოვოს კანონით განსაზღვრული ქმედების განხორციელება და გაასაჩივროს უკვე განხორციელებული მოქმედება ან უმოქმედობა, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნდამენტურ საკითხს პენიტენციურ სისტემაში. აღნიშნული უფლებების განხორციელების უსაფრთხო და ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს პენიტენციური სისტემის მხრიდან პატიმართა უფლებების პატივისცემისა და დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას. შესაბამისად, მოთხოვნისა და გასაჩივრების მექანიზმის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვანი ინდიკატორია პენიტენციური სისტემის შეფასებისთვის.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები

მოთხოვნისა და საჩივრის შეტანისა და განხილვის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ადგენს გარკვეულ მნიშვნელოვან წესებს, თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მარეგულირებელი ნორმები არასაკმარისია საკითხების დეტალური მოწესრიგებისთვის და ტოვებს ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფის საშუალებას, პირველ რიგში, საჩივრის კონფიდენციალურობის პრინციპთან მიმართებაში.

– სახალხო დამცველის მომიტორინგისა და შეფასების შედეგად ვლინდება, რომ სისტემაში კვლავ რჩება კრიმინალური სუბკულტურის პრობლემა, რაც უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არამარტო მოთხოვნა/საჩივრის უფლების განხორციელების, არამედ საერთოდ პენიტენციური სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის, პატიმრობისა და სასჯელის მიზნების მიღწევისთვის.

– წინამდებარე კვლევისთვის გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ მოთხოვნა/ საჩივრის უფლების შესახებ, მისი წარდგენისა და განხილვის პროცედურების, უფასო იურიდიული კონსულტაციის და თარჯიმნის მომსახურების მიღების თაობაზე დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმრებს წერილობით აცნობებს მხოლოდ შესახლებისას ერთჯერადი გაცნობის წესით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში პატიმართა უფლებების შესახებ გამოცემების განთავსებით.[1] რაც ნიშნავს, რომ არ სრულდება საერთაშორისო ვალდებულება დაწესებულებაში პატიმართათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსების/გამოკვრის შესახებ.[2]

– მიუხედავად პატიმრობის კოდექსის მოთხოვნისა, დამტკიცებული არ არის საჩივრის ფორმა, ასევე არაა დამტკიცებული რაიმე აქტით კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის ფორმა.

– დაუცველია და პრობლემურია მოთხოვნისა და გასაჩივრების კონფიდენციალურობის ნორმატიული ბაზა და პრაქტიკა, მოთხოვნისა და საჩივრის შეტანის უფლებათა უსაფრთხო განხორციელების მიზნით.

– უმნიშვნელოვანესი საკითხია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არარსებობა. ყოველ შემთხვევაში, საჯარო სივრცეში არ არსებობს ოფიციალური მონაცემები მოთხოვნების და საჩივრების ოდენობის (ოდენობების შესახებ მონაცემები მიღებულია სპეციალურად წინამდებარე კვლევისთვის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით), შინაარსის, პროცედურული დეტალების (მათ შორის პროცედურების დროული შესრულების, კონფიდენციალურობის დაცვის, ადვოკატის და კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნისა და დაკმაყოფილება არდაკმაყოფილების, სხვა სამართლებრივი კონსულტაციის მოთხოვნა/მიღებისა და სხვა), დამაკმაყოფილებელი თუ არადამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის, ზემდგომ ან სხვა ორგანოში შემდგომი გასაჩივრების და სხვა მონაცემები, რაც ცალსახა საფუძველია სხვადასხვა საკვანძო საკითხის დეტალური შესწავლის, გაანალიზებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისთვის, ნორმატიული

1 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 1 18 00766028 წერილი, პუნქტი 10–11.

2 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) -წესი 55.3.

ბაზისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული მდგომარეობა გამოიწვია პატიმრობის კოდექსიდან დეპარტამენტის ვალდებულების ამოღებამ, რომელიც ითვალისწინებდა 6 თვეში ერთხელ მოთხოვნებისა და საჩივრების საერთო განხილვას, გაანალიზებას, შესაბამისი ანგარიშის მომზადებას და ხელმძღვანელისთვის და მინისტრისთვის წარდგენას.

– წინამდებარე კვლევისთვის ხელმისაწვდომი გახდა სტატისტიკა მხოლოდ მოთხოვნა/საჩივრების ოდენობების შესახებ (წლებისა და დაწესებულებების მიხედვით), რომელიც ადასტურებს საკითხის სირთულეს და პრაქტიკაში საერთო მიდგომების არარსებობას, რაც გამოიხატება სხვადასხვა დაწესებულებებს შორის დაფიქსირებული ოდენობების დრამატულ სხვაობაში.

– სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მიზნით ან/და მის საფუძველზე არ გამოცემულა არცერთი სამართლებრივი აქტი, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს განცხადებით, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს სახალხო დამცველთან და უკვე გაიზიარა მისი რეკომენდაციების ნაწილი.[3]

რეკომენდაციები

- შემუშავდეს და განხორციელდეს კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო, ქმედითი პოლიტიკა;
- გაუმჯობესდეს პატიმრების მოთხოვნა/საჩივართან დაკავშირებული უფლებების შესახებ, მათ შორის წარდგენისა და განხილვის პროცედურების, უფასო იურიდიული კონსულტაციის და თარჯიმნის მომსახურების მიღების თაობაზე ინფორმირების სისტემა, რაც მოიცავს ინფორმირების შესახებ პატიმრების უფლების დამატებითი ბიუროკრატიული და სხვა დამაბრკოლებელი პროცედურების გარეშე განხორციელებას;
- ყველა დაწესებულებაში, ყველა პატიმრისთვის თვალსაჩინო, გაცნობის შესაძლებლობისთვის შესაბამის და უსაფრთხო ადგილზე განთავსდეს/გამოიკრას მოთხოვნისა და გასაჩივრების წარდგენის უფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- შემუშავდეს და დამტკიცდეს საჩივრის ფორმა;
- შემუშავდეს და დამტკიცდეს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის ფორმა;
- გაუმჯობესდეს ნორმატიული ბაზა და პრაქტიკული შესაძლებლობები საჩივრის კონფიდენციალურობისა და მოთხოვნა/საჩივრის შეტანის უფლების უსაფრთხო განხორციელების დაცვის მიზნით;
- პენიტენციურმა სისტემამ აწარმოოს მოთხოვნა/საჩივრების შესახებ შეძლებისდაგვარად სრული სტატისტიკა;
- შემუშავდეს და განხორციელდეს მოთხოვნა/საჩივრის წარდგენისა და მასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელების უწყვეტი მონიტორინგის ერთიანი სისტემა;
- მიღებულ იქნას ქმედითი ზომები საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პროფილური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წინადადებებისა და რეკომენდაციების შესწავლის, გაანალიზებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით.

საერთაშორისო სტანდარტები

პენიტენციური დაწესებულებების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები შეიცავენ მოთხოვნებისა და საჩივრების წარდგენის შესახებ უფლებების დამდგენ და ამ უფლებათა განხორციელების უზრუნველმყოფელ ნორმებს.

მიჩნეულია, რომ ყველა პატიმარს უნდა ჰქონდეს მოთხოვნისა და საჩივრის წარდგენის შეუზღუდავი უფლება; სავალდებულოა ამ უფლებათა შესახებ პატიმართა სათანადო, გასაგებ ენაზე და ფორმით ინფორმირებულობის უზრუნველყოფა; განსაზღვრულია მოთხოვნისა და საჩივრის წარდგენის ინდივიდუალურობის და კოლექტიურობის შესაძლებლობა; განსაზღვრულია ადრესატთა ფართო წრე, მედიაციის შესაძლებლობა, განხილვის პროცედურების და სხვა სახის პრინციპები/სტანდარტები.

პატიმარს უფლება აქვს თავისი უფლებების დასაცავად და განხორციელების უზრუნველსაყოფად, მისდამი მოპყრობის შესახებ შინაარსის ცენზურის გარეშე, მარტივი და ეფექტური პროცედურით,

3 იქვე, პუნქტი 7–9.

ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარუდგინოს მოთხოვნა და საჩივარი დაწესებულების დირექტორს (ან მისი უფლებამოსილების შემსრულებელს), დაწესებულების ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე პირს, პენიტენციური სისტემის ცენტრალურ ადმინისტრაციას ან/და სხვა შესაბამის ორგანოს.[4]

მოთხოვნა/საჩივრის უფლების შესახებ, მისი წარდგენისა და განხილვის პროცედურების, უფასო იურიდიული კონსულტაციის და თარჯიმნის მომსახურების მიღების თაობაზე პატიმარს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია დაწესებულებაში მიღებისას. ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს წერილობით პატიმრისთვის გასაგებ ენაზე და გასაგები ფორმით. წერა–კითხვის უცოდინარ პატიმარს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზეპირად, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმარს მათი საჭიროებების გათვალისწინებით.[5] ინფორმაციის პირადად, უშუალოდ გაცნობის გარდა, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მოკლე ინფორმაცია გამოაკრას დაწესებულების თვალსაჩინო ადგილას.[6]

მოთხოვნა/საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს, როგორც პატიმრის მიერ, ასევე მისი ადვოკატის მიერ, ხოლო თუ მათ არ აქვთ წარდგენის შესაძლებლობა ეს შეიძლება განახორციელოს პატიმრის ოჯახის წევრმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელსაც აქვს შესაბამისი ინფორმაცია.[7] ამასთან, დაუშვებელია ადვოკატმა ან უფლებადამცველმა ორგანიზაციამ შეიტანოს მოთხოვნა/საჩივარი პატიმრის მაგივრად, თავად პატიმრის თანხმობის გარეშე.[8]

განსაზღვრულია, რომ უნდა შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც მიიღებს და გამოიძიებს საჩივრებს, აგრეთვე დაეხმარება პატიმრებს მორიგების მიღწევაში.[9]

ასევე, თუ არსებობს შესაბამისი გარემოებები, მოთხოვნის დაკმაყოფილებისას და საჩივრის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს მედიაცია, რაც გულისხმობს პრობლემის მომჩივანთან/მოთხოვნის ავტორთან შუამავლობის და შეხვედრისა და მოლაპარაკებების გზით გადაჭრის უპირატესობას.[10]

პატიმარს უფლება აქვს, მოთხოვნა/საჩივრის შედგენაზე, წარდგენისა და აპელაციის პროცედურებზე მიიღოს სამართლებრივი კონსულტაციები, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი დახმარება. მას უფლება აქვს საჭირო პროცედურებისთვის განხორციელებისთვის მიმართოს ოჯახის წევრს, ადვოკატს ან სხვა ნებისმიერ პირს.[11]

დაუშვებელია მოთხოვნის/საჩივრის განხილვის დაყოვნება; ნებისმიერ მოთხოვნას/საჩივარს დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, განხილულ იქნეს სათანადო წესით და გაეცეს დროული პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმარს უფლება აქვს წარადგინოს იგი სასამართლოში ან სხვა ორგანოში.[12]

მოთხოვნის/საჩივარს დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, პატიმარს უნდა განემარტოს მიზეზები და მიეცეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელ ორგანოს, რომელმაც არასრულწლოვანი პატიმრის შემთხვევაში, საქმე უნდა განიხილოს პატიმრისადმი ფრთხილი მიდგომით, მისი მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, განთავსების დაწესებულების სიახლოვეს არასრულწლოვანთა საკითხებში კომპეტენტური პირის მეშვეობით.[13]

---

4 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) - წესი 56; გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები) - პუნქტი 75–76; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები) – 70.1; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის - პუნქტი 121–122.1.

5 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) -წესი 54–55.

6 იქვე, წესი 55.3.

7 იქვე, წესი 56.4.

8 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები) – 70.5 – 70.6.

9 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები) - პუნქტი 77.

10 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები) – 70.2; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის - პუნქტი 122.2.

11 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები) – 70.7; გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები) - პუნქტი 78; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის - პუნქტი 124.

12 გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები) - პუნქტი 76; გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) - წესი 57; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის - პუნქტი 122.1.

13 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები) – 70.3; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის - პუნქტი 122.3–122.4.

საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრავს, რომ პენიტენციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოთხოვნა/საჩივრის წარდგენის უსაფრთხოება. დაუშვებელია მომჩივანს მოთხოვნის/საჩივრის წარდგენის გამო შეელახოს ან შეეზღუდოს რაიმე უფლება, გახდეს დევნის, დამცირების, შურისძიების ან სხვა უარყოფითი ზეგავლენის ობიექტი. ამასთან, მომჩივნის სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს კონფიდენციალურობა.[14]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს პატიმრის წამების, არაადამიანური ან სხვა სასტიკი მოპყრობის ან დასჯის შესახებ საჩივარს, რომელზეც აუცილებელია მოხდეს დაუყოვნებელი რეაგირება, დაუყოვნებლივ დაიწყოს და ჩატარდეს სწრაფი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, ადმინისტრაცია ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოსთან მტკიცებულებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.[15]

ადგილობრივი კანონმდებლობა

ადგილობრივ კანონმდებლობაში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთხოვნის და საჩივრის შეტანისა და მათი განხილვის პროცედურების ძირითად პირობებს განსაზღვრავს „საქართველოს პატიმრობის კოდექსი“ და მისი ქვემდებარე აქტები.

კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნა და საჩივარი გამიჯნულია მისაღწევი მიზნის შესაბამისად. მოთხოვნა წარედგინება პატიმრისთვის ისეთი უფლებების მისანიჭებლად, რომელთა მინიჭებაც პენიტენციური დაწესებულების კომპეტენციაში შედის,[16] ხოლო საჩივარი კეთდება პენიტენციურ სფეროში „საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლის“ ქმედების, სამართლებრივი აქტის, გადაწყვეტილების ან/და კოდექსით გათვალისწინებული უფლების რაიმე სახით ხელყოფის მიმართ.[17]

მოთხოვნისა და საჩივრის უფლების შესახებ პატიმარს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ წერილობითი ინფორმაციის სახით დაწესებულებაში მიღებისთანავე. ამასთან, წერა–კითხვის უცოდინარ პატიმარს ინფორმაცია უნდა გაეცნოს ზეპირი ფორმით და შედგეს შესაბამისი ოქმი.[18]

მოთხოვნა კეთდება დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიმართ. მოთხოვნა შეიძლება იყოს წერილობითი ფორმის ინდივიდუალური ან ჯგუფური, კონფიდენციალური ან არაკონფიდენციალური.[19] გარანტირებულია მისი დაწესებულებაში რეგისტრაცია, სარეგისტრაციო ნომრის ავტორისათვის ხელმისაწვდომობა, პასუხის 5 დღიანი ვადა და წერილობითი ფორმა, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მისი დასაბუთებულობა.[20]

შესაბამისი საფუძვლის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში, კონფიდენციალურად ან არაკონფიდენციურად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის[21] მიერ დადგენილი სპეციალური წერილობითი ფორმით, საჩივარი ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეიძლება წარედგინოს: [22]

- დაწესებულების დირექტორს, თუ იგი უკავშირდება დაწესებულების თანამშრომლის საქმიანობას;
- დეპარტამენტის დირექტორს (ანუ პენიტენციური დაწესებულებების მმართველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს), თუ იგი უკავშირდება დაწესებულების დირექტორის საქმიანობას ან დაწესებულების თანამშრომლის საქმიანობის შესახებ საჩივარზე დაწესებულების დირექტორის უარს;
- მინისტრს, თუ იგი უკავშირდება დეპარტამენტის დირექტორის საქმიანობას.

კანონმდებლობა ასევე ადგენს მნიშვნელოვან სპეციალურ უფლებას, რომელიც გულისხმობს პატიმრის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის/სპეციალური პრევენციული ჯგუფისათვის საჩივრით

14 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) - წესი 57.2; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ციხის ევროპული წესები) – 70.4; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის - პუნქტი 123.

15 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები) - წესი 57.3–71.

16 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 95.1.

17 იქვე, მუხლი 96.1.

18 იქვე, მუხლი 97.

19 იქვე, მუხლი 95.2.

20 იქვე, მუხლი 95.3–6.

21 შენიშვნა: საკვლევი პერიოდის შემდგომ, 2018 წლიდან პენიტენციური სისტემა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სახით დაექვემდებარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

22 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 96.2–3, 98.1–3, 99.3.

ნებისმიერ დროს მიმართვის უფლებას.[23]

აკრძალულია გასაჩივრებული ქმედებების განმახორციელებელი პირის მონაწილეობა საჩივრის განხილვაში ან მისთვის საჩივრის გაგზავნა.[24]

პატიმრის უფლებების დარღვევის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისა ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (თუ არ შეუძლია თავად შეიტანოს საჩივარი) საჩივრის შეტანის უფლება აქვს პატიმრის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან ახლო ნათესავს.[25]

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს:[26]

- მოითხოვოს დაწესებულების სოციალური მუშაკის კონსულტაცია, საჩივრის შეტანისა და სხვა პროცედურების შესახებ;
- მოითხოვოს ადვოკატის კონსულტაცია საჩივრის შედგენისას;
- მოთხოვნა და საჩივარი წარადგინოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო მისი არცოდნის შემთხვევაში მისთვის გასაგებ ნებისმიერ ენაზე და აღნიშნული უზრუნველყოფილი იქნება თარჯიმნის მომსახურებით დაწესებულების მიერ.

ბრალდებული/მსჯავრდებული გარანტირებულია:[27]

- საჩივრისთვის საჭირო ოდენობის საშუალებებით, მათ შორის, საწერი კალმით, ქაღალდით, კონფიდენციალური საჩივრის კონვერტით;
- საჩივრის შეტანისთვის დაუსჯელობით;
- არაკონფიდენციალური საჩივრის შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, პენიტენციური დაწესებულების მიერ პრობლემური საკითხის ადგილზე გადაწყვეტით, ადრესატის რეაგირების დალოდების გარეშე.

წერა–კითხვის უცოდინარ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზეპირი ფორმით და შედგეს შესაბამისი ოქმი. როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ინფორმაცია არასრულწლოვანს უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგები ფორმით.[28]

კანონმდებლობა ითვალისწინებს საჩივრის წარდგენის პროცედურის სიმარტივისა და დაცულობის აუცილებლობას და ადგენს საჩივრის ყუთის გამოყენების მექანიზმს. საჩივრის ყუთი წარმოადგენს საფოსტო ყუთს, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ტერიტორიაზე ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე წარწერით „საჩივრების ყუთი“. საჩივრის ყუთი უნდა იყოს დალუქულ მდგომარეობაში და მას ყოველი სამუშაო დღის ბოლოს დაწესებულების დირექტორის ან მისი მოადგილის თანდასწრებით უნდა ხსნიდეს და კვლავ ლუქავდეს დაწესებულების სოციალური მუშაკი.[29] დადგენილია დაწესებულების მიერ საჩივრის მიღების, რეგისტრაციისა და განაწილების წესები.

საჩივრის ყუთის გახსნისთანავე კონვერტები თვალიერდება ვიზუალურად და გაივლის რეგისტრაციას.[30] რეგისტრაციის ნომერი და კონვერტის კოდი გადაგზავნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა გამოიკვრება საჩივრის ყუთთან.[31] დაწესებულება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ვალდებულია შემოსული საჩივარი გადაუგზავნოს ადრესატს.[32] თუ საჩივარი განკუთვნილია დაწესებულების დირექტორისთვის (ან მის მიერ უფლებამოსილი პირისთვის), იგი ადრესატს მიეწოდება შეუფერხებლად ან დაწესებულების შესაბამისი სამსახურის მეშვეობით.

საჩივრის ყუთის დაზიანების შემთხვევაში დაუშვებელია მისი ფუნქციონირების შეჩერება 3 დღეზე მეტი დროით. ამ ვადაში იგი ან უნდა შეკეთდეს ან უნდა ჩანაცვლდეს ახალი ყუთით.[33]

საჩივრის განხილვა დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ უნდა მოხდეს მიღებიდან 5 სამუშაო დღეში, რაც განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 10 დღემდე. ვადის გაზრდის შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს ზეპირად ან წერილობით.[34] კოდექსი არ მსჯელობს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ვადის გაზრდისთვის აუცილებელ განსაკუთრებულ შემთხვევად.

23 იქვე, მუხლი 98.5.
24 იქვე, მუხლი 98.4, 102.4.
25 იქვე, მუხლი 96.4.
26 იქვე, მუხლი 99, 101.
27 იქვე, მუხლი 108.
28 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 94.
29 იქვე, მუხლი 100.1–4.
30 იქვე, მუხლი 100.5.
31 იქვე, მუხლი 100.3.
32 იქვე, მუხლი 102.1.
33 იქვე, მუხლი 100.8.
34 იქვე, მუხლი 103.1.

რაც შეეხება დეპარტამენტის დირექტორს, მას საჩივრის განხილვისთვის ეძლევა 10 დღის ვადა, რაც მისივე შეხედულებით შეიძლება გაიზარდოს კიდევ 10 დღით.[35] კანონმდებლობა არც ამჯერად მსჯელობს ვადის გაგრძელების არც ზოგად და არც კონკრეტულ საფუძვლებზე.

დეპარტამენტის დირექტორის მიერ ვადის საჩივრის განხილვის გაზრდის შესახებ ინფორმაცია საჩივრის ავტორს მიეწოდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. თუმცა არ ადგენს შეტყობინების დაუყოვნებლობის პირობას.[36]

დაწესებულებისა და დეპარტამენტის დირექტორების შემთხვევების გარდა, საჩივარი განიხილება ზოგადი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.[37]

საჩივრის ადრესატი ვალდებულია, დასაბუთებული პასუხები გასცეს საჩივარში დაყენებულ ყოველ კონკრეტულ მოთხოვნას.[38]

საჩივრის განხილვის შედეგები გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ხელწერილით უნდა გაეცნოს ავტორს და დაერთოს მის პირად საქმეს. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სავალდებულოა გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და საჩივრის ავტორისათვის ასეთივე პასუხის გაცნობა.[39] საჩივრის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წესით.[40]

ზემოაღნიშნული პირობების გარდა, კანონმდებლობა განსაზღვრავს განსაკუთრებულ პროცედურებს კონფიდენციალური საჩივრის და წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენასთან დაკავშირებით.

თუ დალუქულ კონვერტზე არაა ადრესატი მითითებული ან შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება,[41] დაწესებულება იღებს საჩივრის გაგზავნაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას. აღნიშნულზე დაწესებულება საჩივრის კონვერტის ნომერის მითითებით საჩივრის გაგზავნაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციას გამოაკრავს საჩივრების ყუთთან თვალსაჩინო ადგილზე. ხოლო, ავტორს უფლება აქვს ორი კვირის ვადაში დაიბრუნოს საჩივარი. ამასთან, დაწესებულება ვალდებულია შეინახოს ასეთი საჩივარი მხოლოდ 10 სამუშაო დღით, ხოლო შემდეგ გაანადგუროს იგი.[42]

წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას და ადგენს, რომ მისი განხილვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. ასეთი საჩივრის არსებობის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ან/და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს.[43]

კანონმდებელი ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსით დარეგულირებული საკითხების სრული დეტალურობის შეუძლებლობას და აძლევს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს სპეციალურ კომპეტენციას - გამოსცეს სამართლებრივი აქტი კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.[44] თუმცა, ამავე კოდექსის ნორმა, რომელიც ადგენს პენიტენციური დაწესებულების დებულებით განსასაზღვრ საკითხთა ჩამონათვალს, არ ითვალისწინებს კონკრეტულად მოთხოვნისა და საჩივრების შეტანისა და სხვა პროცედურების დარეგულირებას, გარდა საჩივრის სპეციალური ფორმის დამტკიცების ვალდებულებისა, რომელიც არაა შესრულებული.[45]

განსხვავებით სრულწლოვნებისა, არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოთხოვნებისა და საჩივრების შეტანისა და მათი წარმოების შესახებ კანონმდებლობა იმპერატიულად მიუთითებს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სპეციალურად უნდა განსაზღვროს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მოთხოვნებთან და საჩივრებთან დაკავშირებული წარმოების პროცედურები.[46]

კანონმდებლობა მოთხოვნებისა და საჩივრებისგან მიჯნავს პირადი ხასიათის მოთხოვნებს და საჩივრებს და ადგენს, რომ ისინი იგზავნება მსჯავრდებულის ხარჯზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადრესატი არის:[47]

---

35 იქვე, მუხლი 103.2.
36 იქვე, მუხლი 103.2.
37 იქვე, მუხლი 103.3.
38 იქვე, მუხლი 106.2.
39 იქვე, მუხლი 106.
40 იქვე, მუხლი 107.
41 იქვე, მუხლი 104.2.
42 იქვე, მუხლი 104.3.
43 იქვე, მუხლი 105.
44 იქვე, მუხლი 2.4.
45 იქვე, მუხლი 52 და მუხლი 99.3; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 1 18 00766028 წერილი, პუნქტი 5–6.
46 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 80 “ვ“.
47 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 40.2[1].

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან/და საქართველოს პარლამენტის წევრი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- სასამართლო;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;
- საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე;
- საქართველოს სამინისტრო;
- პენიტენციური დეპარტამენტი;
- საქართველოს სახალხო დამცველი ან/და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი;
- მსჯავრდებულის ადვოკატი;
- პროკურორი;
- სამინისტროს ადგილობრივი საბჭო;
- ის კომერციული ბანკი, რომელიც დაწესებულებაში ახორციელებს საბანკო საქმიანობას;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულის შემთხვევაში, მისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება ან იმ ქვეყნის უფლებამოსილი დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც საქართველოში ითავსებს მსჯავრდებულის ქვეყნის ინტერესების დაცვას;
- სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური.[48]

კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ზემოხსენებული პირადი ხასიათის კორესპონდენციის, მათ შორის პირადი ხასიათის საჩივრის საჩივრების ყუთის მეშვეობით გაგზავნას.[49] აღნიშნული გარემოება გაურკვეველობას იწვევს მოთხოვნისა და საჩივრის შინაარსის ადმინისტრაციისგან დაცულობასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, როგორ ხდება პირადი ხასიათის საჩივრის ასეთად მიჩნევა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მისი მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით.

„მოთხოვნები და საჩივრები, რომლებიც შეეხება ამანათის/გზავნილის მიღების, ფულის განკარგვის, ხელფასის ჩარიცხვის, შრომასთან დაკავშირებულ, სამედიცინო დახმარების, მატერიალური უზრუნველყოფის, აგრეთვე ამ ხასიათის სხვა საკითხებს, განიხილება და გადაწყდება დაწესებულების დირექტორის მიერ ადგილზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული საკითხის გადაწყვეტა სხვა ორგანოს/პირის უფლებამოსილებას განეკუთვნება.“[50]

განსაზღვრულია, რომ მსჯავრდებულის კორესპონდენცია, მათ შორის მოთხოვნები და საჩივრები, ექვემდებარება ვიზუალურ შემოწმებას, რაც გულისხმობს „ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, დაწესებულება უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზედაც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს.“[51]

განსაზღვრულია პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ადრესატს არ მიეწოდება მოთხოვნა და საჩივარი. მოთხოვნა/საჩივარი ადრესატს არ ეგზავნება თუ მისი შინაარსის გაცნობის შედეგად დადგინდება, რომ მოთხოვნა ან/და საჩივარი:[52] შეიცავს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი დანაშაულის ჩადენას, რომლის გავრცელებამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დაწესებულების, მოსამსახურის ან/და მისი ოჯახის წევრის უსაფრთხოებას ან/და აკრძალული ნივთების პატიმრისთვის მიწოდების საშუალებების თაობაზე; ასევე, თუ მოთხოვნა/საჩივარი შესრულებულია შიფრით ან/და შეიცავს სახელმწიფო ან სხვა საიდუმლოს გასაჯაროების საფრთხეს.

48 შენიშვნა: პენიტენციური დაწესებულებების დებულებები ერთნაირად არეგულირებს მოცემულ საკითხებს ამიტომ მაგალითისთვის მითითებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება.

49 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 69.3.

50 იქვე, მუხლი 40.13.

51 იქვე, მუხლი 41.1.

52 იქვე, მუხლი 41.3.

ზემოხსენებული დათქმები არ ეხება და დაუშვებელია ისეთი კორესპონდენციის შემოწმება ან/და შეჩერება, რომლის ადრესატია: „საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, პენიტენციური დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, ადვოკატი, პროკურორი, სამინისტროს ადგილობრივი საბჭო."[53]

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისთვისაა განსაზღვრული საჩივრის ყუთით დამოუკიდებლად სარგებლობის გარანტია.[54]

მიუხედავად კოდექსის მოთხოვნისა,[55] რომელსაც თავად დაწესებულებების დებულებებიც იმეორებენ, რაიმე აქტით არ არის განსაზღვრული საჩივრის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმა.[56]

კანონმდებლობის ცვლილებები 2014–2017 წლებში

2015 წლის პირველ ივლისს:

- გაუქმდა ნორმა, რომელიც აწესებდა, რომ მოთხოვნაზე მიღებული პასუხი არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას;[57]
- შემცირდა საფუძვლის გამოვლენიდან საჩივრის შეტანის ვადა და მანამდე არსებული 3 თვის მაგივრად განისაზღვრა ერთი თვით;[58]
- პენიტენციური დეპარტამენტის თავმჯდომარის ქმედებებზე საჩივრის მიმართვის ადრესატად განისაზღვრა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი;[59]
- გაუქმდა დათქმა საჩივრის განხილვაში გასაჩივრებული ქმედების განმახორციელებელი პირის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი პირის მონაწილეობის შეუძლებლობისა და მხოლოდ ზემდგომის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. მოქმედი რედაქციით აკრძალულია მხოლოდ გასაჩივრებული ქმედების ჩამდენი პირის მონაწილეობა;[60]
- დადგინდა, რომ საჩივარი წერილის ან რაიმე შევსებული ფორმის მაგიერ მხოლოდ მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით უნდა იქნეს შეტანილი;[61]
- განისაზღვრა, საჩივრების ყუთის ყოველი დღის ბოლოს ნაცვლად ყოველი სამუშაო დღის ბოლოს გახსნა, დაკეტვა და დალუქვა;[62]
- საჩივრების რეგისტრაციასა და აღრიცხვას უზრუნველყოფს დაწესებულების სოციალური მუშაკი, ძველი რედაქციით სოციალური განყოფილება უზრუნველყოფდა რეგისტრაციას, ხოლო სოციალური მუშაკი ახორციელებდა აღრიცხვას;[63]
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელება ერთი თვის ნაცვლად შესაძლებელი გახდა მხოლოდ 10 სამუშაო დღით;[64]
- გაუქმდა პენიტენციური დეპარტამენტის ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა 6 თვეში ერთხელ მოთხოვნებისა და საჩივრების საერთო განხილვას, გაანალიზებას, შესაბამისი ანგარიშის მომზადებას და ხელმძღვანელისთვის და მინისტრისთვის წარდგენას. ნათელია, რომ აღნიშნული დათქმა დაედო საფუძვლად მოთხოვნა/საჩივრების შესახებ სტატისტიკის არარსებობას.

2017 წლის პირველ ივნისს:

- მოთხოვნის საფუძველი გახდა ნებისმიერი იმგვარი უფლების მიღება, რომელთა მინიჭებაც პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამ რედაქციამდე

53 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 41.5.

54 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N118 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 34.11.

55 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 99.3.

56 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მუხლი 66.3; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 1 18 00766028 წერილი, პუნქტი 5.

57 საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 95.6.

58 იქვე, მუხლი 96.1.

59 იქვე, მუხლი 98.2.

60 იქვე, მოქმედი რედაქციით მუხლი 98.4, ძველი რედაქციით მუხლი 98.2.

61 იქვე, მუხლი 99.3.

62 იქვე, მუხლი 100.4-5.

63 იქვე, მუხლი 100.7.

64 იქვე, მუხლი 103.1.

მოთხოვნა შეიძლებოდა გაკეთებულიყო მხოლოდ პენიტენციური ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე, ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უფლებების მინიჭებაზე;[65]

- მოთხოვნის რეგულირების სფეროდან ამოვიდა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საკითხები;[66]
- 48 საათის ნაცვლად, საჩივრის ადრესატისთვის გადაგზავნის ვადა განისაზღვრა არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღით. შესაბამისად, ვადა ძირითადად შემცირდა, თუმცა შესაძლებელი გახდა პარასკევს მიღებული საჩივრის ორშაბათს დღის ბოლოს გადაგზავნა; [67]
- განისაზღვრა ისეთი კონფიდენციალური საჩივრის მიღებისა და განადგურების პირობები, რომელთაც მითითებული არ აქვთ ადრესატი.[68]

ანგარიშების/კვლევების მეორადი ანალიზი

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მოთხოვნებისა და საჩივრების უფლებათა განხორციელების საკითხები, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მოცემულია საქართველოს სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშებში.

საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის წლიური ანგარიში

სახალხო დამცველი მიმოიხილავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოთხოვნისა და გასაჩივრების უფლების რეალიზაციის საკითხებს, გამოყენების ინტენსივობას, პატიმართა დამოკიდებულებას მათი გამოყენების მნიშვნელოვნების მიმართ, მათი ინფორმირების საკითხებს.

სახალხო დამცველი ანგარიშის ზოგად მიმოხილვაშივე აცხადებს, რომ მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო დაწესებულებების მიერ საჩივრებზე არასათანადო რეაგირება.[69] ამ აზრსავე ავითარებს უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვის დროს და მოთხოვნებსა და საჩივრებზე არასათანადო რეაგირებას მიიჩნევს პატიმართა და დაწესებულების თანამშრომელთა შორის „არაკეთილგანწყობილი“, „კონფლიქტური“ და „დაძაბული“ ურთიერთობების ერთ–ერთ გამომწვევ მიზეზად.[70]

სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებულია მსჯავრდებულთა რისკების შეფასებისა და გადაფასების შესახებ ბრძანების პროექტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში მიიღწევა წლების მანძილზე მისი არაერთი რეკომენდაციის მოთხოვნა მსჯავრდებულის გადაყვანის (სასჯელის მოხდის დაწესებულების ტიპის განსაზღვრა შეცვლა) გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით უზრუნველყოფა.[71]

წლის მანძილზე დისციპლინური დასჯის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, სახალხო დამცველის ინფორმაციით გასაჩივრდა მხოლოდ სამჯერ. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დამოკიდებულებას გასაჩივრების უფლების მიმართ და აღნიშნავს, რომ მათი აზრით გასაჩივრება აზრს მოკლებულია.[72]

სახალხო დამცველი არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულების მაგალითზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულები არ არიან სათანადოდ უზრუნველყოფილი მოთხოვნისა და საჩივრის უფლებებისა და მათი განხორციელების პროცედურების თაობაზე. შედეგად, მაგალითად მოჰყავს ამავე დაწესებულებაში წლის მანძილზე დისციპლინური სახდელის გასაჩივრების ფაქტის არარსებობა.[73]

დაბოლოს, სახალხო დამცველი მიუთითებს საინტერესო სტატისტიკაზე წლის მანძილზე სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებიდან საჩივრების ყუთების მეშვეობით გაგზავნილი კორესპონდენციის ოდენობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველი არ აკონკრეტებს კორესპონდენციის ხასიათს და ციფრი მოიცავს ყველა სახის კორესპონდენციას და ეს შეადგენს 3 135 ერთეულს, რომელთაგან 97% გაგზავნილია მხოლოდ 2 დაწესებულებიდან (50%–N17 დაწესებულება და 47%–N15 დაწესებულება).[74]

65 იქვე, მუხლი 95.1.
66 იქვე, მუხლი 95.5.
67 იქვე, მუხლი 102.1.
68 იქვე, მუხლი 104.3.
69 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 21.
70 იქვე, გვ. 41.
71 იქვე, გვ. 47.
72 იქვე, გვ. 79.
73 იქვე, გვ. 130
74 იქვე, გვ. 150.

სახალხო დამცველის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას მოთხოვნების და საჩივრების წარდგენის პროცედურების რეალური განხორციელების ან შედეგების შესახებ.

სახალხო დამცველი მოთხოვნისა და საჩივრის შესახებ 2014 წლის წლიური ანგარიშით არ გასცემს რაიმე სახის რეკომენდაციას, თუ არ გავითვალისწინებთ ზოგადად კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისთვის მიცემულ რეკომენდაციას.[75]

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში

2015 წლის წლიურ ანგარიშში სახალხო დამცველი მოთხოვნისა და საჩივრის განხილვის მექანიზმს ცალკე თავს უთმობს, რაც მისი მხრიდან საკითხისთვის მაღალი მნიშვნელობის მინიჭებაზე მიუთითებს.[76]

სახალხო დამცველი მიუთითებს პენიტენციური სისტემის 14 დაწესებულებაში ჩატარებულ სპეციალურ სოციოლოგიურ კვლევაზე - „მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“.

კვლევაში სახალხო დამცველი მიმოიხილავს აღნიშნული მექანიზმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და პრაქტიკულ პრობლემატიკას. აცხადებს, რომ კვლევის დროს განხორციელდა მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებები, დარეგისტრირებული მოთხოვნებისა და საჩივრების შემთხვევითი შერჩევითი პრინციპით შინაარსობრივი ანალიზი. საუბრობს მექანიზმის დაბალ ეფექტურობაზე. აცხადებს, რომ პატიმართა წარმოდგენები აჭარბებს მათ რეალურ ინფორმირებულობის დონეს, რომ არ ხდება მოთხოვნებსა და საჩივრებზე დროული რეაგირება, აღნიშნული უფლებების ქონისა და განხორციელების მექანიზმების შესახებ პატიმართა სათანადო რეაგირება, არაა გამოკრული უფლებების ნუსხა და პატიმრებს არც საკნებში მოეპოვებათ აღნიშნული წერილობითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. დადებითად აღნიშნავს მოთხოვნისა და საჩივრის წარდგენისათვის საჭირო მატერიალური საჭიროებების ხელმისაწვდომობას და ადმინისტრაციების (დაწესებულება, დეპარტამენტი, სამინისტრო) მიერ გამოცხადებულ მზადყოფნას ზოგიერთი პრობლემური საკითხის გათვალისწინებისა და გამოსწორებისათვის.[77]

სახალხო დამცველი განსაკუთრებულად ხაზგასმით და ფართოდ მიმოიხილავს კონფიდენციალური საჩივრების შეტანის მექანიზმის პრობლემატიკას. აღნიშნავს, რომ რეალურად არ მუშაობს აღნიშნული მექანიზმი; მიუთითებს, რომ ყოველ მესამე პატიმარს არ მიუღია (პატიმართა ინფორმაციით) სარეგისტრაციო ნომერი; უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება საჩივრის ნომრებისა და კონვერტები გადაცემის დროს კონფიდენციალობის დაცვა. ნომრები პატიმრებს მიეწოდებათ საკნებში ხოლო კონვერტების გადაცემის დროს ხდება მომთხოვნის ვინაობის ჩანიშვნა. ამ მხრივ, კიდევ უფრო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაზეა მითითება დახურული ტიპის დაწესებულებებში, ვინაიდან აქ პატიმრების მიერ საჩივრების ყუთით სარგებლობა შეუძლებელია თანმხლები პირის გარეშე. ასევე, რიგ დაწესებულებებში საჩივრების ყუთი ხვდება სამეთვალყურეო კამერების ხედვის არეალში. ასევე, კონფიდენციალურობის დარღვევა იკვეთება, როდესაც ხდება საჩივრის შედგენის დროს სოციალური მუშაკის მიერ დახმარება საკანში უსაფრთხოების თანამშრომლის თანხლებით.[78]

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ხედვის არეალში საჩივრების ყუთი ხვდება N6, N7, N8, N9, N18 დაწესებულებებში, თუმცა მისივე განმარტებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აღიარებს მხოლოდ N9 პენიტენციური დაწესებულების დარღვევას და გამოხატავს პრობლემის ამ დაწესებულებაში გამოსწორების მზადყოფნას.[79]

სახალხო დამცველი ასევე მიუთითებს თავის აპარატიდან გაგზავნილი კორესპონდენციის ადრესატისთვის გახსნილ მდგომარეობაში გადაცემის პრაქტიკაზე. ასევე, პენიტენციური სისტემის მიერ მოთხოვნა/საჩივრების ზოგად ანალიზზე და საერთო ანგარიშის მომზადებაზე და თვლის, რომ აღნიშნული ანალიზი შესაძლებელს გახდიდა დაწესებულებებში არსებული უკმაყოფილებების გამომწვევი მიზეზების შეფასებას.[80] მიუთითებს, რომ პრაქტიკულად არ ხდება მოთხოვნა/საჩივრებზე დროული რეაგირება და არც ვადის გაგრძელების შესახებ მომჩივანთა ინფორმირება. დროულად ხორციელდება მხოლოდ შუალედური პასუხის მიწოდება, რომელიც მოიცავს ინფორმირებას მოთხოვნის/საჩივრის ადრესატის მიერ მიღების შესახებ. უარყოფითად აფასებს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადების ნორმატიული ბაზით განუსაზღვრელობას.[81]

---

75 იქვე, გვ. 150–151.

76 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 156.

77 იქვე, გვ. 156–157.

78 იქვე, გვ. 157–158.

79 იქვე, გვ. 158.

80 იქვე, გვ. 159.

81 იქვე, გვ. 160.

სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს თავად პატიმართა დამოკიდებულებაზე მოთხოვნა/საჩივრების შეტანის მიმართ. მიუთითებს, რომ ხშირ შემთხვევებში ხდება თავის შეკავება ძირითადად ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, თუმცა ზოგჯერ პროკურორთაგან, გამომძიებელთაგან თუ სხვა პატიმართა მხრიდან ზეწოლის გამო. ასევე ხდება თვითცენზურა, ვინაიდან პატიმრები თვლიან, რომ რაიმეს გასაჩივრება გამოიწვევს მათი მდგომარეობის გაუარესებას, გართულებას.[82]

სახალხო დამცველი განიხილავს მოთხოვნა/საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და აცხადებს, რომ ამ მიმართულებითაც არის არსებითი პრობლემები, ვინაიდან არ ხდება უარის დასაბუთება; არ ხდება საკითხის სრული შესწავლა, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება და გათვალისწინება; გადაწყვეტილებები ეყრდნობა ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პოზიციებს.[83]

სახალხო დამცველი აჯამებს მოთხოვნა/საჩივრებზე ადრესატთა გამოხმაურებებს და აკეთებს კონფიდენციალურ და არაკონფიდენციალურ საჩივრებზე გამოხმაურებების ოდენობების შედარებას. ირკვევა, რომ აღნიშნულის მხრივ მკვეთრი განსხვავებაა. კონფიდენციალურ საჩივრებზე ადრესატთა გამოხმაურება შეადგენს 37%–ს, ღია საჩივრებზე გამოხმაურებაა 52%. ამასთან, მითითებულია, რომ ადმინისტრაცია არ უტოვებს პატიმრებს გადაწყვეტილებებს საკანში, რაც ხელს უშლის მათ გადაწყვეტილებათა შესწავლაში გააზრებასა და გასაჩივრების უფლების განხორციელებაში.[84]

საბოლოოდ სახალხო დამცველი გასცემს მრავალ რეკომენდაციასა და წინადადებას, მათ შორის:

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

1. „მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმარს ხელზე გადაეცეს მათი უფლებების, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და მოთხოვნის/ საჩივრის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია. ამ მიზნით შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური ბროშურა;
2. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმრისთვის ხელმისაწვდომი იყოს პატიმრობის კოდექსი, დაწესებულების დებულება და სხვა საკანონმდებლო აქტები;
3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა დაწესებულებაში პატიმრისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში, მათ შორის საცხოვრებელ საკნებში, გამოეკრას (სხვადასხვა ენაზე) პატიმართა უფლებების/მოვალეობების და მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია;
4. გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი; დაწესებულებაში მიღების შემდგომ, უახლოეს რამდენიმე დღეში სოციალურმა მუშაკმა დეტალურად აუხსნას პატიმარს მისი უფლებები და მოვალეობები, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის შესახებ, განუმარტოს სოციალური მუშაკის კომპეტენცია და გადასცეს ყველა საჭირო ძირითადი დოკუმენტი; სათანადო პერიოდულობით ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს პატიმრებთან მათი უფლებებისა და მოვალეობების, მოთხოვნის/ საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურის თემატიკაზე;
5. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი);
6. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ისეთ ადგილზე და იმგვარად (მაგალითად, ბიბლიოთეკაში), რომ კონვერტის მიღება არ იყოს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებზე დამოკიდებული და არ მოხდეს კონვერტის მიმღები პატიმრის იდენტიფიცირება. ამასთან, მიეცეთ პატიმრებს შესაძლებლობა, საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი;
7. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმარს ყველა შემთხვევაში დროულად მიეწოდოს მოთხოვნის/ საჩივრის რეგისტრაციის ნომერი. რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულების სოციალურმა მუშაკმა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ არ მოხდეს მოთხოვნის/ საჩივრის შემტანი პატიმრის იდენტიფიცირება, ამასთან, დაიცვას მოთხოვნის/საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობა;
8. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა კონფიდენციალური საჩივრების გაგზავნის შემდგომ, ყველა შემთხვევაში გამოიკრას რეგისტრაციის ნომრები საჩივრის ყუთთან; აღნიშნული პროცედურის შესახებ ყველა პატიმარს პერიოდულად მიეწოდოს ინფორმაცია, რათა მათ იცოდნენ და ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მათი მოთხოვნის/საჩივრის რეგისტრაციის ნომერი აუცილებლად გამოიკვრება საჩივრის ყუთთან;
9. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პატიმრებმა სრულყოფილად შეძლონ მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების რეალიზება; აღნიშნული მიზნის მისაღწევად რეკომენდებულია, გაიზარდოს სოციალური მუშაკის როლი მოთხოვნის/საჩივრის ფორმულირებისა და შესაბამისი ადრესატის

82 იქვე, გვ. 160.
83 იქვე, გვ. 160.
84 იქვე, გვ. 161–162.

შერჩევის პროცესში, ქართული ენის არმცოდნე პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე სხვადასხვა ენაზე შემუშავდეს და პატიმრებს გადაეცეთ ბროშურა, რომელშიც დეტალურად, გასაგებ ენაზე ახსნილი იქნება მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია;

10. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, მკაცრი კონტროლის დაწესებით, რათა საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მოხდეს მომჩივნის/განმცხადებლის წერილობით, სათანადო ინფორმირება ვადის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ;

11. მოხდეს თითოეული წერილობითი კორესპონდენციის შესწავლა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კორესპონდენციაში მითითებული თითოეული საკითხის, როგორც პატიმრობის კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის ან საჩივრის, ან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული განცხადების იდენტიფიცირება და კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ვადებში განხილვა; თუ რომელიმე საკითხის განხილვა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ერთეულთა კომპეტენციას აღემატება, ასეთი საკითხი გადაიგზავნოს ქვემდებარეობით შესაბამის ორგანოში, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობოს მომჩივანს/განმცხადებელს, ქვემდებარეობით გადაგზავნის შემთხვევაში, მომჩივანს/ განმცხადებელს სათანადოდ განემარტოს სამართლებრივი საფუძველი;

12. უზრუნველყოფილ იქნას პატიმრობის კოდექსის 95-ე და 96-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და საჩივრების, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული განცხადებების სტატისტიკური მონაცემების წარმოება და ანალიზი;

13. მიიღოს ყველა საჭირო ზომა შაბლონური პასუხების გაცემის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად;

14. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მოთავსებისას მოხდეს მათი სრულყოფილი ინფორმირება საჩივრების ყუთებით სარგებლობის შესახებ;

15. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა საჩივრების ყუთები განთავსდეს პატიმრებისათვის ადვილად შესამჩნევ და ხელმისაწვდომ ადგილებში, სადაც არ მიმდინარეობს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი, რათა მაქსიმალურად შესაძლებელი იყოს ყუთის გამოყენება მომჩივანი პატიმრის იდენტიფიცირების გარეშე;

16. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სოციალური სამსახურის თანამშრომელი პატიმარს კონფიდენციალური საჩივრის შედგენაში უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის დაუსწრებლად ეხმარებოდეს;

17. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს აეკრძალოთ კონფიდენციალური კონვერტის გადაცემისას კონვერტის ნომრისა და პატიმრის სახელისა და გვარის ჩანიშვნა;

18. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა შეიცვალოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მსჯავრდებულებისთვის გაგზავნილი კორესპონდენციის გახსნილ მდგომარეობაში დარიგების პრაქტიკა;

19. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აიკრძალოს კონფიდენციალური საჩივრებზე პასუხის გახსნილ მდგომარეობაში დარიგება;

20. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დახურული კონვერტებით მიღებული პასუხები პატიმრებს გადაეცეთ კონფიდენციალურად, ისე რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებს არ ჰქონდეთ მათი წაკითხვის შესაძლებლობა;

21. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოიფხვრას საჩივრის გადაგზავნის პრაქტიკა იმ პირისათვის, რომლის ქმედებასაც ეხება აღნიშნული საჩივარი;

22. მიიღოს ზომები, მათ შორის პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სწავლების გზით, რომ საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ არ განხორციელდეს რეპრესიები;

23. ასეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გენერალური ინსპექციის მიერ პრიორიტეტულად მოხდეს საქმის შესწავლა და სათანადოდ დაისაჯონ პასუხისმგებელი პირები;

24. გადაიხედოს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის შესწავლის მეთოდოლოგია, შემუშავდეს შესაბამისი გაიდლაინები/ინსტრუქციები;

25. უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა სწავლება გამოკითხვის (ინტერვიუს) ტექნიკაში და სწავლების შედეგად მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებაზე განახორციელოს მკაცრი კონტროლი;

26. უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრების შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო დასაბუთება;

27. უზრუნველყოს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრების განხილვის დეტალური პროცედურის შემუშავება და დამტკიცება;

28. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ყველა პატიმარს კანონით დადგენილ ვადაში, სრულყოფილად და დასაბუთებულად ეცნობოს მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგები;

29. შევიდეს ცვლილებები დაწესებულების დებულებებში, რათა პატიმრებს მიეცეთ საშუალება, რომ მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგების ამსახველი პასუხი და საქმის წარმოების სხვა ნებისმიერი მასალა იქონიონ საკანში;

30. მიიღოს ყველა ზომა, რათა პატიმარს მოთხოვნის/საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგებთან ერთად ეცნობოს, რომ აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ამასთან მიეთითოს, სად და რა ვადაშია შესაძლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება;

31. გენერალურმა ინსპექციამ წლის განმავლობაში, პროაქტიულად, სათანადო სიხშირით განახორციელოს მონიტორინგი პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში;

32. დაიხვეწოს გენერალური ინსპექციის სამუშაო მეთოდოლოგია;

33. უზრუნველყოფილ იქნას გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა პროფესიული სწავლება;

34. განხორციელდეს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებების შესახებ პატიმართა სათანადო ინფორმირება;

35. უზრუნველყოფილ იქნას გენერალური ინსპექციის მიერ შესრულებული სამუშაოსა და შემოწმების შედეგად მომზადებული ანგარიშების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის, ვებგვერდზე შესაბამისი მასალის რეგულარულად გამოქვეყნების გზით;

36. სამედიცინო რეგულირების სამმართველოს საქმიანობის მთავარ ამოცანად განისაზღვროს სამედიცინო ხასიათის საჩივრების განხილვა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესისა და მიწოდებული მომსახურების ხარისხის პროაქტიულად შემოწმება.“

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- „შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 98-ე მუხლში, რათა ყველა პატიმარს ჰქონდეს შესაძლებლობა, პირდაპირ მიმართოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ყოველგვარი ქვედა ინსტანციების გავლის მოთხოვნის გარეშე;
- განხორციელდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვალდებულება, პატიმრებში უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით, სათანადო პერიოდულობით, განახორციელოს საჩივრების/ მოთხოვნების ანალიზი;
- პატიმრობის კოდექსში განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/ განცხადების განხილვის გონივრული ვადა;
- პატიმრობის კოდექსში განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადა;
- განხორციელდეს ცვლილება შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რათა პატიმრობის კოდექსით დადგენილი უფლებების სავარაუდო დარღვევის თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში პატიმარი გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.“

საქართველოს მთავარ პროკურატურას

- „საჩივრების შეტანის გამო პატიმრებზე განხორციელებული რეპრესიების სახით დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საქმეზე გამოძიება ჩატარდეს პრიორიტეტულად და უზრუნველყოფილ იქნას პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა.“

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის წლიური ანგარიში

სახალხო დამცველი, კონკრეტულად მოთხოვნა/საჩივრის მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მოწოდებამდე, აჯამებს პენიტენციურ სისტემაში დისციპლინური სახდელის გასაჩივრების სტატისტიკას.

იგი მიუთითებს, რომ „2016 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმართ სულ გამოყენებულ იქნა 4838 დისციპლინური სახდელი, აქედან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ მხოლოდ 43 განკარგულება გასაჩივრდა სასამართლოში. 2015 წელს სასამართლოში პატიმრებმა 38 განკარგულება გაასაჩივრეს.“

„პატიმართა მხრიდან დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ განკარგულებების გასაჩივრების

ზემოთ მოცემული 43 შემთხვევიდან: 7 შემთხვევაში სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, 4 შემთხვევაში - სრულად. 9 შემთხვევაში პატიმართა სარჩელები არ დაკმაყოფილდა, 7 შემთხვევაში სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა, 2 შემთხვევაში პატიმრებს უარი ეთქვათ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ხარვეზის შეუვსებლობის გამო, 4 შემთხვევაში საქმისწარმოება შეწყდა, 3 შემთხვევაში საქმეზე დამდგარი შედეგი უცნობია, ხოლო 7 სარჩელის განხილვა კვლავაც მიმდინარეობს სასამართლოში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მართალია, წინა წელთან შედარებით, დისციპლინური სახდელების პატიმართა მხრიდან გასაჩივრების პრაქტიკა ოდნავ გაიზარდა, მაგრამ პატიმრები დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განკარგულებას კვლავ იშვიათად ასაჩივრებენ. ეს შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული, მათ შორის, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით."

მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში[85]

სახალხო დამცველი კვლავ მიმოიხილავს მოთხოვნა/საჩივრის განხილვის მექანიზმს, ხაზს უსვამს მის მიერ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსადმი 2015 წლის წლიური ანგარიშით მიცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნავს, მათი უმრავლესობა შეუსრულებელია. ნაწილობრივაა შესრულებული პატიმართა ინფორმირებულობის მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია, თუმცა აქაც ხედავს გადაუჭრელ პრობლემებს.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სისტემაში კვლავ მოუგვარებელია:

- პატიმართათვის დოკუმენტური ინფორმაციის, მათ შორის ნორმატიული აქტების სახით, გადაცემის საკითხი. აღნიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში პატიმრები ნორმატიულ აქტების მიწოდებას სახალხო დამცველის აპარატს სთხოვენ;[86]
- სოციალური მუშაკის როლის გაზრდის საკითხი. აღნიშნავს, რომ მათი როლი უნდა გაიზარდოს პატიმართა ინფორმირებულობის, სათანადო კონსულტირების და ხელშეწყობის მხრივ;[87]
- მოთხოვნა/საჩივრის რეგისტრაციის ნომრის დროული და შეუფერხებელი მიღების საკითხი. აღნიშნავს, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში აღნიშნულის მისაღებად პატიმარს აწერინებენ ცალკე მოთხოვნას;[88]
- კონფიდენციალური საჩივრის კონვერტების თავისუფალი ხელმისაწვდომობის საკითხი;[89]
- კონფიდენციალური საჩივრის წარდგენის განხორციელების დროს კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი;[90]
- დახურულ დაწესებულებებში საჩივრის ყუთით სათანადო სარგებლობის შეუძლებლობის საკითხი;[91]
- სამედიცინო ხასიათის საჩივარ/განცხადებების გადაწყვეტის ვადის განსაზღვრის საკითხი;[92]
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადის განუსაზღვრელობის საკითხი;[93]

სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ პრობლემებია პატიმართა მხრიდან მოთხოვნა/საჩივრის დაწესებულების წარმომადგენლისთვის გადაცემის დადასტურების მხრივ და მოითხოვს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის შექმნას.[94]

ზემოაღნიშნული საკითხების ფონზე, სახალხო დამცველი კვლავ გასცემს არაერთ რეკომენდაცასა და წინადადებას მათ შორის იმეორებს ზემოთ მოცემული 2015 წლის ანგარიშით გაცემულ N1, N4, N6-N9, N15-N17, N19-N20 რეკომენდაციებს და დამატებით გასცემს:

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:[95]

- „მიიღოს ყველა ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ყველა უცხოელი პატიმრისათვის ხელმისაწვდომი იყოს ბროშურა, რომელშიც დეტალურად, გასაგებ ენაზე იქნება ახსნილი მოთხოვნის/საჩივრის შეტანისა და განხილვის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია;

85 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 158.
86 იქვე, გვ. 159 – 160.
87 იქვე, გვ. 160.
88 იქვე, გვ. 162.
89 იქვე, გვ. 162.
90 იქვე, გვ. 163 – 164.
91 იქვე, გვ. 163 – 164.
92 იქვე, გვ. 164.
93 იქვე, გვ. 164.
94 იქვე, გვ. 162.
95 იქვე, გვ. 164 – 166.

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ დაწესებულებებში არსებობდეს ნორმატიული აქტების ავტომატურად განახლებადი ბაზა; ყველა პატიმრისთვის საკანში ხელმისაწვდომი იყოს პატიმრობის კოდექსის, დაწესებულების დებულების და სხვა ნორმატიული აქტების განახლებული, კოდიფიცირებული ვერსია. ამავდროულად, მოხდეს პატიმრის მიერ ნორმატიული აქტის მიღება-ჩაბარების ფაქტის დოკუმენტირება;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს;
- უზრუნველყოს პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/განცხადების განხილვის გონივრული ვადის განსაზღვრის საკითხს, და ასევე, უზრუნველყოს მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის;
- უზრუნველყოს პატიმრობის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადის განსაზღვრის საკითხს, და ასევე, უზრუნველყოს მთავრობისათვის წარდგენა პარლამენტში ინიცირებისათვის."

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- „შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ სამედიცინო ხასიათის საჩივრის/განცხადების განხილვის გონივრული ვადა;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ საჩივრის განხილვის ვადა."

სახალხო დამცველის 2017 წლის წლიური ანგარიში

სახალხო დამცველის 2017 წლის წლიურ ანგარიშში არაფერია ნათქვამი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მოთხოვნებისა და საჩივრების საკითხებზე. არაა შეფასებული მის მიერ წინა წლის ანგარიშით გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულება არშესრულების მდგომარეობა.

საჯარო სტატისტიკური ინფორმაცია

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ყოველწლიურ სტატისტიკაში 2014–2017 წლებში არ არის მოცემული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოთხოვნებისა და საჩივრების სტატისტიკა. თუმცა კვლევის მიზნით გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით საანგარიშო წლებში დარეგისტრირებული მოთხოვნა/საჩივრების ოდენობები ასეთია:[96]

96 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2018 წლის 20 აგვისტოს N MOC 1 18 00766028 წერილის დანართი.

დაწე-სებულება	მოთ-ხოვნა 2014	საჩივარი 2014	ჯამი 2014	მოთ-ხოვნა 2015	საჩი-ვარი 2015	ჯამი 2015	მოთ-ხოვნა 2016	საჩი-ვარი 2016	ჯამი 2016	მოთ-ხოვნა 2017	საჩი-ვარი 2017	ჯამი 2017
N2	24334	254	24588	26251	254	26505	24733	226	24959	21957	185	22142
N3	5888	53	5941	6475	190	6665	7250	307	7557	4338	146	4484
N5	1058	102	1160	1090	78	1168	993	35	1028	1264	33	1297
N6	225	103	328	801	129	930	3098	203	3301	436	309	745
N7	95	120	215	252	281	533	456	75	531	257	13	270
N8	0	873	873	97	1067	1164	2	738	740	5	1091	1096
N9	0	0	0	0	1	1	0	0	0	0	3	3
N11	143	0	143	136	0	136	382	0	382	363	0	363
N12	986	17	1003	1437	38	1475	1077	17	1094	924	11	935
N14	4686	56	4742	5127	165	5292	7676	50	7726	7582	45	7627
N15	1533	72	1605	1230	277	1507	6857	81	6938	10533	56	10558
N16				470	0	470	2204	3	2207	3385	32	3417
N17	115	2	117	174	0	174	149	0	149	72	0	72
N18	44	0	44	425	0	425	1731	2	1733	1849	1	1850
N19	1516	85	1601	2318	5	2323	2095	97	2192	1444	49	1493
სულ	40623	1737	42 360	46 283	2 485	48 768	58 702	1 834	60 536	54 409	1 974	56 383

სტატისტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ მოთხოვნა/საჩივრის მხრივ პენიტენციურ სისტემაში სახეზეა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რისი რეალური მიზეზებისა და საფუძვლების გარკვევა საჭიროებს დამატებით მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოთხოვნებისა და საჩივრების ოდენობები რამდენიმე დაწესებულების მიხედვით:

დაწესებულება, წელი	მოთხოვნა	საჩივარი	პატიმართა რაოდენობა დეკემბერში
N2, 2014	24334	254	1505
N2, 2015	26251	254	1398
N2, 2016	24733	226	1166
N2, 2017	21957	185	1020
N17, 2014	115	2	1968
N17, 2015	174	0	1901
N17, 2016	149	0	1890
N17, 2017	72	0	1878
N18, 2014	44	0	77
N18, 2015	425	0	110
N18, 2016	1731	2	90
N18, 2017	1849	1	111

ამასთან, ირკვევა, რომ სასჯელაღსრულების სისტემამ არ იცის ან არ ასაჯაროებს ინფორმაციას საჩივრებსა და მოთხოვნებზე დაწესებულებების მიერ გაცემული პასუხების ოდენობის შესახებ. მოთხოვნისა და საჩივრის თაობაზე მიღებული რამდენი გადაწყვეტილება გასაჩივრდა საანგარიშო წლებში, საჩივრის განმხილველი ორგანოები და მოთხოვნის/საჩივრის საგნები, რამდენი საჩივარი დაკმაყოფილდა/არ დაკმაყოფილდა ვის მიერ და რა საგანზე.[97]

97 იქვე, პუნქტი 1–4.